სტატი თოვლისა ბრისკი კონტი

287 1 114

287 1 114

დასკანირებულია
16.01.2025

19.

...წლისთავისათვის

პოეტური ქრონიკის სევდიანი სტრიქონები

საქართველოს ისტორიაში კრწანისის ტრაგიკული პერიოდიდან, განვლილ ორასწლოვან ხანაში, ჩვენს თვალწინ დატრიალებულ ორ ტრაგედიას ორნაირი განფენილობა, ახსნა და გაგება მოეპოვება. 1989 წლის 9 აპრილი რაღაცათი ემსგავსება მის „საგარეო“ ასპექტს — უცხო ძალის ჩასაქოლად. ეს სული გამარჯვებული გამოვიდა კრწანისში დამარცხების ნაცვლად. იგი უფრო აზვირთდა და გაძლიერდა, რათა მიეღწია სანუკვარი, საოცნებო, სანატრელი დამოუკიდებლობისათვის.

რაღა გვეთქმის მეორე, უფრო დიდ, საზარელ ტრაგედიაზე? ისიც ხომ თბილისში, იმავე ადგილას, იმავე სასახლის მიდამოებში თითქოს ქვესკნელიდან ამოვარდა მძვინვარე და დაუნდობელი, გაცოფებული და შხამგესლიანი და თარეშობდა არა მხოლოდ, ერთ დღეს და ერთ ღამეს, არამედ დროის ვრცელ მონაკვეთში — 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 5 იანვრამდე. ვინ ვის ებრძოდა, ვინ ვის უშენდა ტყვიებს, ვინ ვის სახლ-კარზე აჩენდა ხანძარს? ეროვნული ძალების ხელით ეროვნული განძები ისპობოდა... მთავრობის სასახლის ოთხკუთხა სვეტების შუაში „გადაშრის“ ცდა რომელი სამზედრო მოსაზრებით უქმნიდა რაიმე საფრთხეს შიგ შეხიზნულთ?! აკი ცნობილია, 1940 წელს გენერალმა პეტენმა პარიზის ოკუპაცია არჩია მის დანგრევას, ხოლო ოთხი წლის შემდეგ დე გოლის ჯარებმა იხსნეს ხელუხლებელი ხუროთმოძღვრული ძეგლები!

ათასგვარი კითხვები და გამოცანები ისახება ჩვენს წინაშე ამ უკანასკნელი ტრაგედიის გარშემო, ტრაგედიისა, რომელიც შავ ლაქად შევიდა საქართველოს მდიდარ, სახელოვან, საამაყო ისტორიაში. შავ ლაქად და მისგან მობრუნებად, მისგან გამწმენდად, უკეთესი მომავლის გეზით. მისი განსჯა სწორედ იმ უკეთესი მომავლის საქმეა. მაგრამ განსჯისათვის მატიანეთა ფოლიანტები აქედანვე უნდა იქმნებოდეს.

ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ კეთდება. ფირმა „ივერიას“ გრიფით ხელთა გვაქვს პირველი პოეტური ქრონიკა, უტყუარი პოეტური ანარეკლი იმ საშინელი მოვლენების ჩასახვისა და განვითარებისა, რომლებმაც შეძრა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო. ცნობილი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის გამოცემულ წიგნს სწორედ „ქრონიკა ქართული ტრაგედიისა“ ჰქვია. სახელწოდების გააზრებისას, უწინარესად, ხაზი უნდა გაესვას ავტორის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, მის მზადყოფნას იდგეს ყოველთვის თავისი ერის, ხალხის ჰირვარამის შუაგულში. მის გვერდით, კვალდაკვალ მისდიოს მისი ცხოვრების ყოველ ნაბიჯს და მასთან ერთად გაიზიაროს წუხილი და სიხარული, შეცოდება და შემართება, სულიერი დაცემა და ამაღლება.

აფორიაქებულ დროში ძნელია ლირიკული განწყობის ფსიქოლოგიური პირობების მომზადება, მაგრამ, ამავე დროს, ხალხის ინტერესებით გამსჭვალული ომგამოვლილი პოეტისათვის უფრო ძნელი და მძიმეა ლოდნთან შერიგება. ამიტომაც გვეუბნება იგი ჯარისკაცური სიწრფელით: **„მე ახლა რითმებს ვერ დავუწყებ ძებნას და დევნას“**. აქედან ჩანს, პოეტის სწრაფვის მთავარი მიზანია მოშხდარი ფაქტების აღწუსხვა, აღბეჭდვა, დაფიქსირება. ასე წარმოიშვა მის პოეტურ ქრონიკონში თარიღების პროზაული ქრონიკაც. იგი იწყება 1991 წლის 22 დეკემბრის შემაძრწუნებელი ამბიდან დაუვიწყარი, შთამბეჭდავი მხატვრული სახე—სურათის შექმნით.

თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორიული შენობის დაწვა ასოციაციურად პირველ რიგში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს უკავშირდება. **აქ სწავლობდა იგი. აქ გადმოვარდა კიბიდან, აქ მონაწილეობდა მოსწავლეთა არალეგალური ხელნაწერი კედლის გაზეთის გამოშვებაში, აქედან დაიწყო მისი ფიქრი და ოცნება** კრწანისის ტრაგედიიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ საქართველოს ბედზე. პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილის მგრძნობიარე სულის თრთოლვა, დრტვინვა და შეშფოთება ძალუმად იგრძნობა დიდ წინამორბედთა გახსენების იმ სიმბოლურ, ტკივილიან სტრიქონებში, რომლებშიაც მათთან დაკავშირებით თითქოსდა ტალანში გამომწყვდეული ჰრელბაბთიანი ჩვენი შვილების „კრთომა“ — შიშის ღრმა განცდაა გამოცემული: **„სკოლა იწვიხო მეწამულ ანძად ხანძარმა ალი ციხკენ აზიდა. თუ გამოახწრო, ნეტავი ხანძარს ბარათაშვილმა ტატომ კლასიდან. სკოლა იწვიხო... ჰვეჰვაძიანთ ილიკოს ლექსი ჩარჩა ჩანთაში.. გამიშვით, უნდა ცეცხლში შევვარდე, ბავშვები უნდა ვიხსნა, გამიშვით! მაგრამ ვერ ვაწვდენ მზერას შენამდე, სკოლავ... და კვამლი წვება დამეში.“**

1992-ის ახალი წლის წინ დაწერილი მეორე ლექსის ლაიტმოტივი უაღრესად კონტრასტული, უჩვეულო და უცნაურია. აქ ერთდება ნაძვის ხის სათამაშოების საყიდლად გამართული დიდი რიგის, ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო ოსტატის რევაზ ინანიშვილის დასაფლავების, ლიტერატურული ჟურნალის „მნათობის“ რედაქციის, მწერალთა ხელნაწერების ხანძრისგან გაჭრობის სადღესასწაულო და სამგლოვიარო ნიშნები. ერთგან — უნივერმაღში ვაჭრობაა გაჩაღებული, მეორეგან — ხუთასიოდე ნაბიჯის იქით — ომია. ყველაფერი ეს ხდება, ერთდროულად რუსთაველის პროსპექტზე. **„ძალამ ეშმაკულმა ძმა ძმას გადაამტერა, ერი ორად გახლიჩა, ღვარძლის მიჯნით გამიჯნა ჭალაჭიც და ხოფელიც, ქუჩაც და ხახლიცა.. დაბოცილთა ხულები პროსპექტზე ფართხალობენ.. ვაჰ რომ დროსაც თავისი აქვს კანონი — ახალი წელიც მაინც მოდის და ცად შუშხუნებს აისხრის.“**

თვით ახალი წლის თარიღით დაწერილ ლექსში პოეტი გულისტკივილით ამბობს: **„რათ დამაბრუნე... რათ დამაბრუნე, იმ უხახტაკეს ომიდან, ღმერთო, თუ ჩემს თბილისში, ჩემს საფიცარ ჭართულ მიწაზე შევეხწრებოდი ქართველების ომს ქართველებთან?!“**.

არა, ვერავითარი მაგიური ძალით ვერ გადმოიცემა თეიმურაზ ჯანგულაშვილის მიერ ცხელ გულზე დაწერილი პოეტური ქრონიკის სევდიანი სტრიქონების აზრი, მათი პათოსი და განწყობილება. იგი თვითონ უნდა წაიკითხოთ, განიცადოთ და გაითავისოთ.

აკაკი თოფურია

„წიგნის სამყარო“, 1992, 30 იანვარი, №22

დახვრეტილ იქნა ეკატერინე მეორეს მიერ. იმპერატორი პეტრე III დაახრჩვეს მისი მეუღლის ეკატერინე II ბრძანებით; თვით ეკატერინე II შუბით მოკლეს სასახლეში. მისი მემკვიდრე პავლე I, შეთქმულებმა გამოასალმეს სიცოცხლეს, რომელთა შორის მისი შვილი და მემკვიდრე ალექსანდრე I იყო. არსებობს მასალები, რომ თვით ალექსანდრე I მოწამლეს მოგზაურობის დროს. მისი მემკვიდრე ნიკოლოზ I უგზოუკვლოდ დაიკარგა, მისი საფლავიც კი არ არის ცნობილი. იმპერატორი ალექსანდრე II ასო-ასო იქნა დაგლეჯილი „ნა-

3. პეტრე II — გაყინეს;
4. ანა იოანეს ასული — მოწამლეს;
5. იოანე VI — 1 წლის დააპატიმრეს, 25 წლის შემდეგ დახვრიტეს;
6. პეტრე III — დაახრჩვეს;
7. ეკატერინე II — შუბით მოკლეს;
8. პავლე I — მოწამლეს;
9. ალექსანდრე I — მოწამლეს;
10. ალექსანდრე II — ააფეთქეს ბომბით;
11. ნიკოლოზ II — დახვრიტეს მთელი ოჯახით.

დამეთანხმებით, რომ ეს არის საშინელი სტატისტიკა: 2 საუკუ-

კრებიდან, რომელშიც ს. ორჯონიკიძეც მონაწილეობდა და სადაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ი. სტალინის გამოყვანა პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. დღეს უველასათვის კარგად არის ცნობილი თუ რა სისხლისმყვარული იყვნენ ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ს. ორჯონიკიძე, გ. პიატაკოვი, კ. რადეკი, ნ. ბუხარინი. სისხლისმყვარულთა რიცხვს აუცილებლად უნდა დაემატოს ისეთი ოდიოზური პიროვნებები, როგორიც იყვნენ ფ. ძერჟინსკი, ჰ. იაგოდა, ბ. მენჟინსკი, ნ. ეჟო-

კრემლში, დაეპატიმრებინა პოლიტბიურო და მთავრობა,ი. სტალინი კი უნდა მოეკლათ ადგილზევე. როდესაც დაიწყეს შეთქმულთა დაპატიმრება, ი. გამარნიკმა თავი მოიკლა. დღეს ამ შეთქმულების უველა მონაწილე რეაბილიტირებულია...

ბოლო წლებში პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე მასალა შეთქმულებებზე ი. სტალინის წინააღმდეგ. ჩვენ თავი მოვუყარეთ მათ და ვთავაზობთ ქართველ მკითხველს. დე, მან თვითონ გააკეთოს საჭირო დასკვნები.

ხელმოწერათა და მკითხველთა საყურადღებოდ!

გიწვევთ საფირმო მაღაზია

გამომცემლობა „სამშობლოს“ გამოცემებზე ხელმოწერებს ვაცნობებთ, რომ უკვე დაიბეჭდა ბიბლიოთეკა „ნობელის პრემიის ლაურეატების“ პირველი წიგნი, რომელიც წარმოგვიდგენს უილიამ ფოლკნერის შემოქმედებას. მასში შესულია დიდი ამერიკელი მწერლის ნაწარმოებები „ბმაური და მძვინვარება“ და „დათვი“. ნობელის პრემიის სხვა ლაურეატების ნაწარმოებთა გამოცემისათვის მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

დაიბეჭდა აგრეთვე სერია „უბის ისტორიის“ ორი წიგნი: „ქართული ბახელოგრაფია (შეფეთა ნუსხა)“ და „ქართული ჭრონოგრაფი (წნიშვნელოვან თარიღთა ნუსხა)“. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ სერიის ავტორების გუნდმა და ლევან სანიკიძეების ჩანაფიქრითა და გამომცემლობის ძალისხმევით მოკლე ხანში გამოვა „უბით“ თუ „გულისჯიბით“ სატარებელი მშობლიური ისტორიის კიდევ ორი წიგნი — „ქართული ბატალოგრაფია (ქართველთაგან გადახდილ ბრძოლათა ნუსხა)“ და „ქართული პერსონოგრაფია (ქართულ სახისტორიო პიროვნებათა ნუსხა)“.

უკვე დაბეჭდილი ლიტერატურის შეძენა ხელმოწერებს შეუძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს“ სახირმო მაღაზიაში, რომელიც გახსნილია გამომცემლობის შენობის პირველ სართულზე, მისამართი — ვ. კოსტავას ქუჩა № 14.

აქვე მკითხველს შეუძლია ხელმოწერების გაფორმება ჩვენს გამოცემებზე, აგრეთვე „სამშობლოს“ მიერ ახლახან დასტამბული მრავალტიროვანი ლიტერატურის შეძენა.

იჩქარეთ შეიძინოთ წიგნები და გაფორმოთ ახალი ხელმოწერები, ჩვენი გამოცემები შედარებით იაფია, ხოლო მკითხველისათვის დანაპირებს, მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, აუცილებლად შევასრულებთ.

გამომცემლობა „სამშობლო“.